ახალი განათლება

2012 წელი, 31 მაისი – 6 ივნისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№21 (575) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მომავლის საბავშვო ბიბლიოთეკა

ქართულ რეალობას მორგებული შვედური მოდელი

სტოკჰოლმის ერთ-ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა

გვერდი 6–7

მეთოდიკა

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 4–5

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სპმთპ-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

ოლიმპიადა

„მზეკაბანი-2007“ გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული

გვერდი 9

გამოვიდა

წიგნის თარო

ნიკოლაი გოგოლი
რჩეული მოთხრობები

ვილჰელმ ჰაუფი
ლიხტენშტეინი

თეოდორ დრაიზერი
დაიკო კერი

სერიიდან
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

ინფორმაცია

* * *

მასწავლებლის სახლში საკვირაო სკოლების პედაგოგების ტრენინგები მიმდინარეობს. ქართულის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები სამდღიან ტრენინგს გაივლიან. კვალიფიკაციის ასამაღლებლად საქართველოში სულ 22 ქვეყნის ემიგრანტი მასწავლებელი ჩამოვიდა, მათ შორის დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და უკრაინაში მცხოვრები ქართველი პედაგოგები. სატრენინგო პროგრამები, თითოეული მათგანის საჭიროებების მიხედვით, ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად მომზადდა.

საკვირაო სკოლების მასწავლებლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი შეხვდნენ. მინისტრებმა თითოეულ მათგანს საჩუქრად ნეთბუქები გადასცეს. შეხვედრაზე საუბარი იყო საკვირაო სკოლების მუშაობასა და მათ საჭიროებებზე. დიმიტრი შაშკინმა მასწავლებლებს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები გააცნო.

დიასპორის დღეების ფარგლებში, საქართველოში 55 ემიგრანტი მასწავლებელი ჩამოვიდა. მასწავლებლის სახლი საკვირაო სკოლებთან თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებს და ტრენინგების ჩატარებას საზღვარგარეთაც გეგმავს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით სასულიერო და სამოქალაქო პირები დააჯილდოვა. მათ შორის არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები.

პრეზიდენტმა პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ განხორციელების საქმეში შეტანილი წვლილისთვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების და პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაია სიფრაშვილი და პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ საქმეში შეტანილი წვლილისთვის სამინისტროს ზოგადი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი ანა ქებაძე დააჯილდოვა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი და აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ბასი გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის 2012 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალს დაესწრნენ. მინისტრის მოადგილემ სკოლის დამთავრება მიულოცა ახალგაზრდებს და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ამერიკულ აკადემიას წელს 45 მეთორმეტეკლასელი ამთავრებს, ბევრი მათგანი სწავლას აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს, მაგრამ საქმიანობის დაწყებას ისინი მშობლიურ ქვეყანაში გეგმავენ.

ამერიკული აკადემია 2001 წელს ქართველმა ბიზნესმენმა გივი ზალდასტანიშვილმა დააარსა. აკადემიას 350-მდე კურსდამთავრებული ჰყავს, მათი უმრავლესობა ჰარვარდის, იელის, პრინსტონის, კოლუმბიის, ბრაუნისა და ემორის უნივერსიტეტებში, ამერიკის სამხედრო და საზღვაო აკადემიებში, მილანში – ბოკონის უნივერსიტეტში, პარიზში – ამერიკის უნივერსიტეტში, ლონდონში – ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, შოტლანდიაში – სენტ ენდრიუსის, ედინბურგის უნივერსიტეტებსა და მრავალ სხვა ამერიკისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

გასულ წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის საუკეთესო კერძო სკოლად სწორედ გივი ზალდასტანიშვილის სახელობის აკადემია დაასახელა. თანამედროვე დასავლური პედაგოგიური მეთოდოლოგიის დანერგვასთან ერთად, აკადემიის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია, ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს მოსწავლეებს საქართველოს ისტორია და კულტურა, ჩაუნერგოს საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა და სიყვარული.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა და მსოფლიოს თერთმეტგზის ჩემპიონმა ჭადრაკში გარი კასპაროვმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელმოწერას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე დაესწრნენ.

მემორანდუმი მოზარდთა შორის ჭადრაკის პოპულარიზაციასა და საქართველოს სკოლებში პროგრამის – KCFE დანერგვას ითვალისწინებს. პროგრამა კომპიუტერულია და მის შექმნაზე, კასპაროვთან ერთად, ევროპის საჭადრაკო ლიგაც მუშაობდა. საქართველო პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ეს მეთოდი დაინერგება. ახალი პროგრამა 2012 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება და, ჭადრაკის პოპულარიზაციის გარდა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

გარი კასპაროვი მიიჩნევს, რომ ჭადრაკი არა სპორტის სახეობაა, არამედ განათლების სისტემის გაუმჯობესების ახალი და იაფი საშუალება, რომელიც მოზარდებში ინტელექტუალური აზროვნებისა და ლოგიკის განვითარებას ემსახურება. *„როცა ბავშვის აღზრდაში ჭადრაკი ერთვება, მას სამყაროზე უკეთესი წარმოდგენა ექმნება და აზროვნებას იწყებს, რადგან ჭადრაკის თამაში ანალიზს მოითხოვს. გარდა ამისა, ის ბავშვს პასუხისმგებლობას, სიფრთხილესა და დადგენილი წესების მკაცრად დაცვას აჩვევს, რაც საბოლოოდ სწავლის ხარისხზე აისახება. ჭადრაკის სწავლების დანერგვა ქვეყანას კიდევ არაერთი ნიჭიერი ადამიანის წარმოჩენაში დაეხმარება“* – აცხადებს დიდოსტატი.

2010-2011 სასწავლო წლიდან საქართველოს სკოლებში სპორტის გაკვეთილები დაინერგა. სპორტის სახეობებს სკოლები სურვილისამებრ ირჩევენ, ამ სახეობებიდან ჭადრაკი საქართველოს 800-ზე მეტ სკოლაში არის არჩეული, რაც სპორტის ამ სახეობის აქტუალობაზე მეტყველებს.

* * *

ახალი სასწავლო წლიდან, საქართველოს მასშტაბით, კიდევ 250-მდე პედაგოგი მიიღებს ათასლარიან ხელფასს. სერტიფიცირებულ პედაგოგთა შორის, ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდის ჩაბარების შემდეგ, 250-მდე სხვადასხვა საგნის პედაგოგი საუკეთესო 25%-ში მოხვდა და ხელფასი 1000 ლარი გაუხდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ სამი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე პედაგოგი პერსონალური კომპიუტერებით დაასაჩუქრა.

საუკეთესოებს შორის არიან:

♦ **თეონა შერეზადაშვილი** – ონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

♦ **მიხეილ გაბისკირია** –კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელი;

♦ **ქეთევან ბარხუდანაშვილი** – თელავის მე-3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებულ გამოცდაში წელს 1600-ზე მეტი სერტიფიცირებული პედაგოგი მონაწილეობდა. გამოცდა 54%-მა ჩააბარა, მათგან საუკეთესოები, ახალი სასწავლო წლიდან, 1000-ლარიან ანაზღაურებას, ხოლო დანარჩენები, ხელფასზე დანამატის სახით, 200 ლარს მიიღებენ.

ინტეგრირებული გამოცდა წელს მეორედ ჩატარდა და, 2011 წელთან შედარებით, მასში მასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა მონაწილეობდა, ბარიერი უმრავლესობამ დაძლია, 28 მაისს აპელაციის შედეგები გახდა ცნობილი.

გამოცდების მაღალი შედეგები პრეზიდენტის მიერ ინიცირებულმა პროექტმა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულმა ეფექტურმა ტრენინგებმა განაპირობეს. პედაგოგისთვის ასევე დიდი მოტივაციაა გაზრდილი ხელფასი.

გამოცდებამდე რამდენიმე თვით ადრე, მასწავლებლის სახლში, პედაგოგებისთვის სპეციალური ტრენინგები მიმდინარეობდა. ინტენსიური ტრენინგები ყოველდღიურად ტარდებოდა, რომელშიც, თბილისის გარდა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მასწავლებელი მონაწილეობდა. მასწავლებლის სახლმა, ქვეყნის მასშტაბით, სულ 356 პედაგოგი მოამზადა. გადამზადება სპეციალური ტრენინგ-მოდულების მიხედვით ხორციელდებოდა.

* * *

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის მონაწილე უცხოელი პედაგოგები არასამთავრობო ორგანიზაციის First Step Georgia ცენტრს ესტუმრნენ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები მოინახულეს.

სპეციალურად ბავშვებისთვის უცხოელმა პედაგოგებმა სხვადასხვა აქტივობები – სიმღერები, თამაშები მოამზადეს და ცენტრის ბავშვები რამდენიმე საათის განმავლობაში გაართეს.

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის მონაწილე უცხოელი პედაგოგები საქართველოში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან – კანადიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ავსტრალიიდან, ლიტვიდან, ირლანდიიდან, ფილიპინებიდან, ჩეხეთიდან და ა.შ. იმყოფებიან.

საქართველოს ყველა რეგიონის სკოლაში, ქართველ მასწავლებლებთან ერთად, ისინი მოსწავლეებს ინგლისურ ენას ასწავლიან. თუმცა, საკუთარი ინიციატივით, პარალელურად, მსგავს ღონისძიებებში ჩაერთნენ – როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ყველა რეგიონში ისინი სისტემატურად სტუმრობენ არა მხოლოდ მზრუნველობამოკლებულ, არამედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, უცხოელი პედაგოგები, სპეციალური გასართობი პროგრამებით, ბავშვებთან ვიზიტებს თავად გეგმავენ და თავადვე ახორციელებენ.

ზაფხულის განმავლობაში მოხალისე მასწავლებლები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში ჩაერთვებიან, მათ შორის, მონაწილეობას მიიღებენ საზაფხულო სკოლების საქმიანობაში და მოსწავლეებს ინგლისურს გაძლიერებულად შეასწავლიან.

გამოცდების ეროვნულ ცენტრს ახალი დირექტორი უხელმძღვანელებს

28 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მიიღო გადაწყვეტილება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მაია მიმინოშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

„საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარეობს არაერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, რეფორმების განხორციელების პროცესში შეიქმნა პრინციპული შეუთავსებლობა განათლების სამინისტროს პოლიტიკასა და მაია მიმინოშვილის პირად პოზიციას შორის.

გამოცდების ეროვნული ცენტრი აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში და უზრუნველყოფს საატესტატო გამოცდების შეუფერხებლად მიმდინარეობასა და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებას.“ – ნათქვამია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებაში.

გავრცელდა მაია მიმინოშვილის კომენტარი, რომლითაც მან დაადასტურა, რომ მინისტრმა პირადად გააცნო მისი სამსახურიდან განთავისუფლების გადაწყვეტილება პირადი პოზიციის შეუთავსებლობის გამო.

იმავე დღეს გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს თხოვნით, პირადად მიეღო გადაწყვეტილება.

ცენტრის თანამშრომლებმა დაწერეს განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ.

საღამოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ეროვნული გამოცდების ცენტრში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კოკა სეფერთელაძე წარადგინა.

29 მაისს გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა მოიწვიეს პრესკონფერენცია მასმედიის წარმომადგენელთათვის, სადაც ცნობილი გახდა, რომ უკვე ცენტრის 60-მა თანამშრომელმა დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ.

„მიგვაჩნია, რომ ამ ორგანიზაციის ყველა წევრი მაია მიმინოშვილის ხელმძღვანელობით პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას საქართველოს თითოეული მოქალაქის წინაშე. დღეს კი, ჩვენს მოქალაქეობრივ ვალად მიგვაჩნია დავტოვოთ დაკავებული თანამდებობები და, ამავდროულად, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ არ დაზარალდეს არც ერთი მოსწავლე, აბიტურიენტი, პედაგოგი. შესაბამისად, მზად ვართ, კანონით გათვალისწინებულ ვადებში არსებული წესის თანახმად გადავცეთ მონაცემთა ბაზა და შეფასების კრიტერიუმები ჩვენს შემცვლელებს.“ – ნათქვამი იყო გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა განცხადებაში.

30 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განათლების სისტემის წარმომადგენლებს სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ახალი დირექტორი წარუდგინა – ცენტრს ხატია დეკანოიძე უხელმძღვანელებს.

ხატია დეკანოიძე აქამდე პოლიციის აკადემიას ხელმძღვანელობდა და მის სახელთან ბევრი წარმატებული პროექტია დაკავშირებული.

მინისტრმა საატესტატო გამოცდების შედეგებზე ისაუბრა და აღნიშნა: *„მოსწავლეებმა მომზადების მაღალი დონე აჩვენეს, ეს არის შედეგი განხორციელებული რეფორმებისა. სამინისტრო აგრძელებს განათლების სისტემაში რეფორმებს და ეს უკვე შეუქცევადი პროცესია.*

2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდები წარმატებით სრულდება, ასევე შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდებიც. ამის გარანტი სამინისტრო და გამოცდების ეროვნულ ცენტრის ახალი ხელმძღვანელობაა.“

განათლების ადმინისტრირების მეორე კონფერენცია

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული განათლების მართვის პროექტის ფარგლებში განათლების მართვის საკითხებზე მეორე წლიური კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია მიზნად ისახავს განათლების დარგის ახალი სპეციალისტების მოზიდვას განათლების ადმინისტრირებაში სტუდენტთა მომავალ პრაქტიკული კვლევის პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

2009 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლოს-ანჟელესის კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით, განათლების მართვის პროექტმა განათლების ადმინისტრირების ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა ჩამოაყალიბა, რომლის მიზანს საქართველოში განათლების მართვის დეცენტრალიზაციის გაუმჯობესება წარმოადგენდა. განათლების მართვის პროექტი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა, 2012 წლის ივნისში დასრულდება.

კონფერენციაზე განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 2010-2012 წლის ჯგუფის კურსდამთავრებულებმა მათ მიერ პრაქტიკული კვლევის (პრობლემის ჯგუფურად გადაჭრის რეფლექსიური პროცესი, რომელიც სკოლებში განხორციელდა) შედეგად მომზადებული სამაგისტრო ნაშრომები განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფაკულტეტის, მონაწილე სკოლების პრაქტიკული კვლევის კომიტეტების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებების და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დამსწრე წარმომადგენლებს გააცნეს.

პროგრამის კურსდამთავრებულებმა შეისწავლეს განათლების ადმინისტრირების ისეთი სფეროები, როგორიცაა: ლიდერობა განათლების დარგში, სტრატეგიული მართვა და სკოლის საქმიანობის მართვა, ფინანსები, საკადრო რესურსების მართვა, შენობების და ობიექტების მართვა და უსაფრთხოება, განათლების სისტემები, ლიდერობა სწავლებასა და სასწავლო დარგში, სასწავლო პროგრამის შემუშავება, სტანდარტები და აკრედიტაცია, სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობა, განათლების პოლიტიკა და სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა.

კონფერენციის დასკვნით ნაწილში სკოლების პრაქტიკული კვლევის მონაწილე ინსიტიტუციებს სერტიფიკატები გადაეცათ.

„Summer Job“-ში მონაწილეობის მსურველთათვის ხელახალი რეგისტრაცია ცხადდება

2012 წლის 4 ივნისს პროექტ „Summer Job“-ში მონაწილეობის მსურველი ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ხელახალი რეგისტრაცია იწყება. საიტზე www.summer-job.ge რეგისტრაცია დილის 9 საათიდან იქნება შესაძლებელი. დღეიდან კი, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, წინასწარ შეარჩიონ სასურველი სამუშაო ადგილი. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიება მათ ვებგვერდზე შეუძლიათ, რაც საშუალებას მისცემთ, რეგისტრაციის დღეს სასურველი სამუშაოს არჩევაში დრო აღარ დაკარგონ და პირდაპირ რეგისტრაცია გაიარონ. სტუდენტებისთვის ვაკანტური 1500-ზე მეტი ადგილია.

პროგრამა Summer Job-ში სტუდენტთა რეგისტრაცია 20 მარტიდან დაიწყო და ინტერნეტით, დასწრების პრინციპით განხორციელდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დარეგისტრირებულ სტუდენტთა ნაწილის გეგმები შეიცვალა, ისინი პროექტს გამოეთიშნენ. ამ სტუდენტთა რაოდენობა 7%-ზე ნაკლებია. გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 4 ივნისიდან ხელახალ რეგისტრაციას აცხადებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი „Summer Job“ საქართველოში წელს პირველად ხორციელდება. პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. მასში მონაწილეობა საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება და მათი ხელფასი 500 ლარი იქნება.

სტუდენტები სამოცდაათამდე სფეროში დასაქმდებიან, კერძოდ: სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმმართველობის ორგანოებში და ა.შ. საპრეზიდენტო პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

პროექტი „Summer Job“ გამიზნულია იმისათვის, რომ სტუდენტებმა კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება შეძლონ. გამომუშავებული თანხით კი საკუთარი სწავლა დააფინანსონ ან შემეცნების, მოგზაურობის, დასვენებისათვის და ა.შ. საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში.

მეთოდიკა

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ამჯერად წარმოგიდგენთ მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებს განუსაზღვრელი და განსაზღვრული ინტეგრალის შესახებ.

განუსაზღვრელი ინტეგრალი

დიფერენციალური აღრიცხვის ძირითადი ამოცანაა რაიმე შუალედში განსაზღვრული ფუნქციის წარმოებულის მოძებნა. განუსაზღვრელ ინტეგრალთა თეორიაში შეისწავლება შებრუნებული ამოცანა: რაიმე შუალედში მოცემულია ***f(x)*** ფუნქცია და უნდა ვიპოვოთ ისეთი ***F(x)*** ფუნქცია, რომლის წარმოებულია ***f(x)***.

განსაზღვრება. ***F(x)*** ფუნქციას ეწოდება ***f(x)*** ფუნქციის პირველადი ფუნქცია რაიმე შუალედში, თუ ამ შუალედის ყოველი ***x*** წერტილისათვის ***F′(x)=f(x)***.

მაგალითად: $F(x)=x^2$ ფუნქცია არის ***f(x)=2x*** ფუნქციის პირველადი ფუნქცია **]-∞;∞[** შუალედში, რადგან ამ შუალედის ყოველი წერტილისათვის $F'(x)=(x^2)'=2x=f(x)$.

ადვილი შესამჩნევია, რომ x^2+4 ფუნქციის წარმოებულიც არის ***2x***. ამიტომ x^2+4 ფუნქცია აგრეთვე წარმოადგენს ***2x*** ფუნქციის პირველად ფუნქციას **]-∞;∞[** შუალედზე. ცხადია, რომ 4-ის ნაცვლად შეიძლება ავიღოთ ნებისმიერი მუდმივი, ამრიგად ***f(x)=2x*** ფუნქციის პირველად ფუნქციათა სიმრავლე უსასრულოა.

თუ F(x) ფუნქცია f(x) ფუნქციის პირველადია რაიმე შუალედში, მაშინ ნებისმიერი C მუდმივისათვის F(x)+C ფუნქცია აგრეთვე f(x) ფუნქციის პირველადია მოცემულ შუალედში.

ახლა გავეცნოთ პირველადის მოძებნის წესებს. ეს წესები ემყარებიან შემდეგ თეორემებს:

თუ F(x) ფუნქცია f(x) ფუნქციის პირველადია, ხოლო თუ G(x) კი g(x) ფუნქციის პირველადი, მაშინ F(x)+G(x) ფუნქცია წარმოადგენს f(x)+g(x) ფუნქციის პირველადს.

თუ F(x) ფუნქცია f(x) ფუნქციის პირველადია, ხოლო k ნებისმიერი მუდმივია, მაშინ kF(x) ფუნქცია წარმოადგენს kf(x) ფუნქციის პირველადს.

თუ F(x) ფუნქცია f(x) ფუნქციის პირველადია, ხოლო k და b ნებისმიერი მუდმივებია, მაშინ $\frac{1}{k}F(x)$ ***ფუნქცია წარმოადგენს f(kx+b) ფუნქციის პირველადს.***

f(x) ფუნქციის ყველა პირველად ფუნქციათა ერთობლიობას ეწოდება **განუსაზღვრელი** ინტეგრალი ***f(x)*** ფუნქციიდან და $\int f(x)dx$ სიმბოლოთი აღინიშნება. ამრიგად, თუ ***F(x)*** არის ***f(x)*** ფუნქციის ერთ-ერთი პირველადი, მაშინ $\int f(x)dx=F(x)+C$.

მოცემული ფუნქციის ყველა პირველადის მოძებნის ოპერაციას ეწოდება ინტეგრება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი წარმოადგენს გაწარმოების შებრუნებულ ოპერაციას.

წარმოებულთა ძირითადი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს შევადგინოთ განუსაზღვრელი ინტეგრალების (პირველადების) ძირითადი ცხრილი:

1. $\int x^{\alpha}dx=\frac{x^{\alpha+1}}{\alpha+1}+C,\ \ \alpha\neq 1;$
2. $\int\frac{dx}{x}=\ln x+C;$
3. $\int a^x dx=\frac{a^x}{\ln a}+C;$
4. $\int e^x dx=e^x+C;$
5. $\int \sin x\,dx=-\cos x+C;$
6. $\int \cos x\,dx=\ \sin x+C;$
7. $\int\frac{dx}{\cos^2 x}=\mathrm{tg}x+C;$
8. $\int\frac{dx}{\sin^2 x}=-\mathrm{ctg}x+C.$

მაგალითი 1.

ვიპოვოთ $f(x)=12+2x-3x^3-\frac{6}{\sin^2\frac{2x}{3}}$ ფუნქციის პირველადი.

ამოხსნა.

საძიებელი პირველადია:

$F(x)=12x+x^2-\frac{3}{4}x^4-6\cdot\frac{3}{2}ctg\frac{2x}{3}+c$ ე. ი. $F(x)=12x+x^2-\frac{3}{4}x^4-9ctg\frac{2x}{3}+c$

მართლაც:

$$F'(x)=\left(12x+x^2-\frac{3}{4}x^4-9ctg\frac{2x}{3}+c\right)'=12+2x-3x^3-\frac{6}{\sin^2\frac{2x}{3}}=f(x)$$

მაგალითი 2.

ვიპოვოთ $f(x)=\frac{2x+3}{2x-1}$ -ის პირველადი, რომლის გრაფიკიც გადის **M(1;1)** წერტილზე, თუ $x\in\left]\frac{1}{2};\infty\right[$.

ამოხსნა.

მოცემული ფუნქცია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$f(x)=\frac{2x+3}{2x-1}=\frac{(2x-1)+4}{2x-1}=1+\frac{4}{2x-1}$$

ცხადია პირველადია $F(x)=x+2\ln(2x-1)+c$, როცა $x\in\left]\frac{1}{2};\infty\right[$.

რადგანაც პირველადი გადის **M(1;1)** წერტილზე, ამიტომ ამ წერტილის კოორდინატებმა უნდა დააკმაყოფილოს ***f(x)*** ფუნქცია. კოორდინატების ჩასმის შედეგად მივიღებთ:

1=1+2 ln(2-1)+c c=0.

ამრიგად,პირველადი,რომლის გრაფიკიც გადის **M(1;1)** წერტილზე, იქნება:

F(x)=x+2ln(2x-1)

განსაზღვრული ინტეგრალი.
ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა

ვთქვათ ***f(x)*** არის **[a;b]** მონაკვეთზე განსაზღვრული უწყვეტი არაუარყოფითი ფუნქცია. **[a;b]** მონაკვეთზე ***f(x)*** ფუნქციის გრაფიკით განსაზღვრული მრუდწირული ტრაპეციის ფართობი შეიძლება შემდეგნაირად გამოვთვალოთ:

დავყოთ **[a;b]** მონაკვეთი **n** ნაწილად ნებისმიერად $a=x_0<x_1<x_2<\ldots<x_n=b$ წერტილებით და ყოველი მართკუთხედის ფართობი ავღნიშნოთ S_k-ით, ცხადია, რომ $S_k=f(x)\cdot\Delta x_k$, ხოლო ყველა ასეთი მართკუთხედის ფართობთა ჯამის ზღვარი იქნება მრუდწირული ტრაპეციის ფართობი, რომელიც ტოლია $S=\lim_{n\to\infty}\sum_{k=0}^{n-1}f(x_k)\cdot\Delta x_k$.

მტკიცდება რომ, **[a;b]** მონაკვეთზე განსაზღვრული ნებისმიერი უწყვეტი ფუნქციისათვის არსებობს ასეთი სახის ზღვარი, და ეს ზღვარი არ არის დამოკიდებული მონაკვეთის დაყოფის წესზე. ამ ზღვარს უწოდებენ ***f(x)*** ფუნქციის განსაზღვრულ ინტეგრალს **a**-დან **b**-მდე და ასე აღნიშნავენ $\int_a^b f(x)dx$. ე.ი. $\lim_{n\to\infty}\sum_{k=0}^{n-1}f(x_k)\cdot\Delta x_k$

თუ შევადარებთ ტოლობებს $S=\int_a^b f(x)dx$. და ***S=F(a)-F(b)*** მივიღებთ დასკვნას: თუ ***F(x)*** ფუნქცია არის ***f(x)*** ფუნქციის პირველადი **[a;b]**, მონაკვეთზე, მაშინ

$$\int_a^b f(x)dx=F(a)-F(b)$$

ამ ფორმულას **ნიუტონ-ლაიბნიცის** ფორმულა ეწოდება. იგი მართებულია **[a;b]** სეგმენტზე განსაზღვრული ნებისმიერი უწყვეტი ფუნქციისათვის. ხშირად

F(a)-F(b) სხვაობას შემდეგნაირად აღნიშნავენ $F(a)-F(b)=F(x)\Big|_a^b$ ამ აღნიშვნის მეშვეობით ნიუტონ- ლაიბნიცის ფორმულა ასე ჩაიწერება:

$$\int_a^b f(x)dx=F(x)\Big|_a^b$$

შევნიშნოთ, რომ $\int_a^b f(x)dx=-\int_b^a f(x)dx,\ \int_a^a f(x)dx=0.$

მაგალითი 1.

გამოვთვალოთ $\int_0^1(1-6^x)^2dx.$

$$\int_0^1(1-6^x)^2dx=\int_0^1(1-2\cdot 6^x+6^{2x})dx=\left(x-\frac{2}{\ln 6}\cdot 6^x+\frac{1}{2\ln 6}\cdot 6^{2x}\right)\Big|_0^1=\frac{2\ln 6+15}{2\ln 6}$$

მაგალითი 2.

გამოვთვალოთ $\int_0^{\frac{\pi}{2}}\frac{8}{\pi-2}\sin^2\frac{x}{2}dx.$

$$\int_0^{\frac{\pi}{2}}\frac{8}{\pi-2}\sin^2\frac{x}{2}dx=\frac{8}{\pi-2}\int_0^{\frac{\pi}{2}}\frac{1-\cos x}{2}dx=\frac{4}{\pi-2}\int_0^{\frac{\pi}{2}}(1-\cos x)dx=\frac{4}{\pi-2}\cdot(x-\sin x)\Big|_0^{\frac{\pi}{2}}=\frac{4}{\pi-2}\cdot\frac{\pi-2}{2}=2$$

მრუდწირული ტრაპეციის ფართობი.

ვთქვათ, **[a;b]** მონაკვეთზე მოცემულია უწყვეტი ***f(x)*** ფუნქცია, რომელიც აღნიშნულ მონაკვეთზე ნიშანს არ იცვლის. ფიგურას, რომელიც შემოსაზღვრულია ***f(x)*** ფუნქციის გრაფიკით, **ox** ღერძით და ***x=a; x=b*** წრფეებით, მრუდწირული ტრაპეცია ეწოდება.

მრუდწირული ტრაპეციის ფართობის გამოსათვლელად ხშირად სარგებლობენ შემდეგი თეორემით:

ვთქვათ ***f(x)*** არის **[a;b]** მონაკვეთზე განსაზღვრული უწყვეტი არაუარყოფითი ფუნქცია,ხოლო ***S*** მრუდწირული ტრაპეციის ფართობი. თუ ***F(x)*** ფუნქცია ***f(x)*** ფუნქციის პირველადია **[a;b]** მონაკვეთზე, მაშინ ***S=F(a)-F(b).***



ამ ფაქტის დასაბუთებისათვის განვიხილოთ **[a, b]** მონაკვეთზე განსაზღვრული ***S(x)*** ფუნქცია. როდესაც **x=a**, მაშინ ***S(x)=0***; როდესაც $a<x\leq b$, მაშინ ***S(x)*** იყოს მრუდწირული ტრაპეციის იმ ნაწილის ფართობი, რომელიც მდებარეობს **(x, 0)** წერტილზე გავლებული წრფის მარცხნივ. ცხადია, რომ S(b) = S არის მთლიანი ტრაპეციის ფართობი.

ვაჩვენოთ, რომ ***S′(x)=f(x)*** . ე.ი. უნდა ვაჩვენოთ, რომ $\frac{\Delta S}{\Delta x}\to f(x),\ \Delta x\to 0$



სიმარტივისათვის განვიხილოთ **Δx> 0** შემთხვევა.

მეთოდიკა

რადგან **ΔS(x)= S(x+Δx)– S(x)** , ამიტომ **ΔS(x)** არის ნახაზზე გამოსახული დაშტრიხული არის ფართობი. ავიღოთ იგივე **ΔS(x)** ფართობის მქონე მართკუთხედი, რომლის ფუძე არის **[x, x+Δx]** მონაკვეთი.



ამ მართკუთხედის ზედა გვერდი კვეთს ფუნქციის გრაფიკს, რომელიღაც **c∈ [x, x+Δx]** წერტილში. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ამ მართკუთხედის ფართობი **ΔS(x)**-ზე ან მეტი იქნება ან ნაკლები. ე.ი. ამ მართკუთხედის სიმაღლეა ***f(c)*** და ამიტომ **ΔS(x)= *f*(c)·Δx** . აქედან გამომდინარე:

$$\frac{\Delta S}{\Delta x} \to f(c)$$

რადგან **c∈ [x, x +Δx]** და f უწყვეტი ფუნქციაა, ამიტომ ***f(c)→ f (x),*** როდესაც **Δx→0**. აქედან გამომდინარე

$$\frac{\Delta S}{\Delta x} \to f(x)$$ როდესაც **Δx→0.**

როგორც ვნახეთ ***S(x)*** არის ***f(x)*** ფუნქციის პირველადი. პირველადების ძირითადი თვისების თანახმად, თუ ***F*** არის ***f***-ის რომელიმე პირველადი, მაშინ ***S(x)= F(x)+C***, სადაც ***C*** არის რომელიღაც მუდმივი. ამ ტოლობიდან გამომდინარე გვაქვს:

S=S(b)–S(a)=F(b)– F(a) .

მაგალითი 1.

გამოვთვალოთ იმ ფიგურის ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია წირებით:

$y=x^2+1$; y=0; x=0; x=3

ამოხსნა.

$$S=\int_0^3 (x^2+1)dx=\left(\frac{x^3}{3}+x\right)\Big|_0^3=9+3=12.$$

მაგალითი 2.

გამოთვალეთ შემდეგი წირებით შემოსაზღვრული ფიგურის ფართობი:

$y=0,5x^2+1$; y=2x+1

ამოხსნა.

ინტეგრების საზღვრების პოვნისთვის საჭიროა ვიპოვოთ ფუნქციათა გრაფიკების გადაკვეთის წერტილების აბსცისები, რისთვისაც საჭიროა ამოვხსნათ სისტემა.

საძებნი ფიგურის ფართობია ორი მრუდწირული ტრაპეციის ფართობთა სხვაობა, ამიტომ გვაქვს:

$$S=\int_0^4 (2x+1)dx-\int_0^4 (0,5x^2+1)dx=(x^2+x)\Big|_0^4-\left(\frac{x^3}{6}+x\right)\Big|_0^4=5\frac{1}{3}$$

მაია თევდორაშვილი
ილია ვეკუას სახელობის
ფიზიკა-მათემატიკური სკოლის
მათემატიკის მასწავლებელი

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

გენეტიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა

ამოცანა №1

მემარჯვენე სწორი ცხვირის მქონე მამაკაცი (რომლის დედა ცაცია იყო), დაქორწინდა ცაცია, კეხიანი ცხვირის მქონე ქალზე (ქალის მამას სწორი ცხვირი ჰქონდა). როგორია ალბათობა იმისა, რომ მათ შეეძინებათ ცაცია, სწორი ცხვირის მქონე ბავშვი?

ამოხსნა: მემარჯვენე – დომინანტური ნიშანია (A), ცაცია – რეცესიული (a); სწორი ცხვირი – რეცესიული ნიშანია (b), კეხიანი – დომინანტური (B).

პირობიდან გამომდინარე, მამაკაცის დედა ცაცია იყო, ამიტომ, მისი გენოტიპი იქნება Aabb, ქალის მამას სწორი ცხვირი ჰქონდა, ამიტომ იგი ჰეტეროზიგოტური იქნება ამ ნიშნის მიხედვით და მისი გენოტიპია aaBb.

შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

P: ♂ Aabb x ♀ aaBb.

G Ab ab aB ab

F_1: AaBb, Aabb, aaBb, aabb.

AaBb გენოტიპის მქონე ბავშვი იქნება მემარჯვენე, კეხიანი ცხვირით;
Aabb – მემარჯვენე, სწორი ცხვირით;
aaBb – ცაცია, კეხიანი ცხვირით;
aabb – ცაცია, სწორი ცხვირით.

პასუხი: ალბათობა იმისა, რომ წყვილს ცაცია, სწორი ცხვირის მქონე ბავშვი შეეძინება, არის 1/4, ანუ 25%.

ამოცანა №2

თეთრი და შავი თაგვების შეჯვარებით F_1 თაობაში მიიღეს რუხი ფერის ინდივიდები. ჰიბრიდების შეჯვარებით დაიბადა 160 რუხი, 76 თეთრი და 83 შავი ფერის წრუწუნა. განსაზღვრეთ შეჯვარების ტიპი. როგორია მშობლების და შთამომავლობის გენოტიპები.

ამოხსნა:

რუხი – 160

თეთრი – 76

შავი – 83.

ვივარაუდოთ, რომ განხორციელდა მონოჰიბრიდული შეჯვარება. მაშინ, F_2 თაობაში ჰიბრიდთა 4 შესაძლო კომბინაცია წარმოიქმნება, ამიტომ, წრუწუნების საერთო რაოდენობა (160+76+83=319), ამ მაჩვენებელზე უნდა გაიყოს:

319:4≈80

დავადგინოთ თანაფარდობა ფენოტიპურ კლასებს შორის:

რუხი: 160:80=2

თეთრი: 76:80≈1

შავი: 83:80≈1.

დათიშვის თანაფარდობა 1 : 2 :1 ტოლია. აღნიშნული დათიშვა არასრული დომინირების (კოდომინირების) შემთხვევაში ყალიბდება. შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

P: ♀ AA (შავი) x ♂ aa (თეთრი)

F_1: Aa (რუხი)

Aa x Aa

G A a A a

F_2

♂ \ ♀	A	a
A	AA	Aa
a	Aa	aa

AA – შავი

Aa – რუხი

aa – თეთრი

ამოცანა №3

ხვეულბეწვიანი და სწორბეწვიანი ზღვის გოჭების შეჯვარებით F_1 თაობაში მიიღეს 3 სწორბეწვიანი და 4 ხვეულბეწვიანი გოჭი. როგორია მშობლების და შთამომავლობის გენოტიპები?

ამოხსნა:

თუ ინდივიდთა შეჯვარებით, რომლებიც ფენოტიპურად ერთი წყვილი ნიშნით განსხვავდებიან, მიღებულ შთამომავლობაში ვლინდება დათიშვა ამავე წყვილი ნიშნის მიხედვით, მაშინ, ერთ-ერთი მშობელი ჰეტეროზიგოტია, მეორე – რეცესიული ჰომოზიგოტი ამ ნიშნის მიხედვით.

როგორც ცნობილია, ხვეული ბეწვი დომინანტური ნიშანია, სწორი – რეცესიული. ამიტომ, ხვეულბეწვიანი მშობლის გენოტიპი Aa იქნება, სწორბეწვიანის – aa.

შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

P: ♀ Aa x ♂ aa

G A a a a.

F_1. Aa (ხვეულბეწვიანი); aa(სწორბეწვიანი).
დათიშვის თანაფარდობა 1 : 1 ტოლია.

ამოცანა №4

a და b რეცესიული გენები ადამიანში სიყრუეს და ალბინიზმს განაპირობებენ (გენები არ არის შეჭიდული). ქალს აქვს ნორმალური სმენა და მუქი ფერის თმა, მამაკაცს – ნორმალური სმენა, მაგრამ, იგი ალბინოსია. მათ შეეძინათ ყრუ და ალბინოსი შვილი. როგორია იმის ალბათობა, რომ შემდეგ ბავშვს ექნება ნორმალური სმენა და მუქი თმა?

ამოხსნა:

რადგანაც წყვილს ყრუ ბავშვი გაუჩნდა, ისინი ჰეტეროზიგოტურნი არიან ამ ნიშნის მიხედვით. რადგანაც ბავშვი ალბინოსია, დედა ამ ნიშნის მიხედვითაც ჰეტეროზიგოტური იქნება.

შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

P: ♀ Aa Bb x ♂ Aa bb

G AB Ab aB ab Ab ab.

F_1: AABb, AaBb, AAbb, Aabb, AaBb, aaBb, Aabb, aabb

ბავშვებს, რომელთა გენოტიპებია AABb, AaBb, ექნებათ ნორმალური სმენა და მუქი თმა. მათი რაოდენობა 3/8-ია. ალბათობა იმისა, რომ წყვილს ასეთი შვილი გაუჩნდება, 37,5%-ია.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი,
ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა

სემინარი

მომავლის საბავშვო ბიბლიოთეკა

ქართულ რეალობას მორგებული შვედური მოდელი

27-28 მაისს, უნივერსიტეტის საქტო დაბაზში, ლიტერატურის განვითარების ფონდმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით, ერთობლივი ქართულ-შვედური სემინარი გამართა თემაზე „საბავშვო ბიბლიოთეკები“. პროექტის მხარდამჭერები არიან ქალაქ თბილისის საკრებულო და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. სემინარს წინ უძღოდა ქართული დელეგაციის გაზაფხულზე ვიზიტი შვედეთში, რომლის მიზანი იყო გაეცნოთ შვედური საბავშვო ბიბლიოთეკების საქმიანობა. შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით, დაახლოებით სამი წლის წინ, შვედმა საბავშვო მწერალმა **მარი ოსკარსონმა** და ილუსტრატორმა **ჰელენა ბერგენდალმა** ჩაატარეს საბავშვო ლიტერატურის შესახებ სემინარი და ვორკშოპი, რომელიც ახალი პროექტის დასაწყისი გახდა.

ირმა მალაციძე, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი: *„დაახლოებით სამი წლის წინ, საბავშვო მწერალი მარი ოსკარსონი და ილუსტრატორი ჰელენა ბერგენდალი, შვედეთის მწერალთა კავშირის მწერლები, იყვნენ ჩამოსულები საქართველოში და ერთ-ერთ პრეზენტაციაზე გავიცანით. ისინი ჩვენი ფონდის – „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი“ (რომელიც 6 წლის წინ ჩამოყალიბდა) – საქმიანობით დაინტერესდნენ. ჩვენი ფონდის საქმიანობის არეალი თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლების პოპულარიზებაა. აღმოჩნდა, რომ ისინი საქართველოში აპირებდნენ საბავშვო ლიტერატურის შესახებ სემინარების ჩატარებას და ვორკშოპის მოწყობას. ჩვენ დაგვიკავშირდნენ და ერთობლივი ორგანიზებით, 2009 წლის 27 ოქტომბერს, მოეწყო სემინარი. ეს დღე ჩვენი ორგანიზაციის მიერ, 6 წელია, საბავშვო ლიტერატურის დღედ აღინიშნება. სემინარის შემდეგ, შვედი და ქართველი მწერლებისა და ილუსტრატორების მიერ მოეწყო ვორკშოპი ბათუმში. ეს ჯგუფი მაისში შვედეთში გაემგზავრა და იქ დასრულდა წიგნებზე მუშაობა. ამ ვიზიტის დროს, ქართულ დელეგაციასთან ერთად, ჩვენი ფონდის წარმომადგენლებიც – მე და მარიამ წიკლაური ვიყავით ჩასული და იქ გავეცანით გამომცემლობების, საბავშვო ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაობას და ა.შ. წელს ურთიერთობა ისევ გაგრძელდა, შვედეთის ინსტიტუტის დაფინანსებით უკვე საბიბლიოთეკო მიმართულებით. სტოკჰოლმში გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია, რომელშიც ჩართული იყო საბიბლიოთეკო ასოციაცია, თბილისის საკრებულო, კულტურის სამინისტრო და ილიას უნივერსიტეტი. გავეცანით იქაური ბიბლიოთეკების მუშაობას, ძალიან საინტერესოა და ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ მათგან. საბავშვო ბიბლიოთეკა შვედეთში ძალიან მრავალმხრივია. ის აბსოლუტურად განსხვავდება ჩვენი ტრადიციული ბიბლიოთეკისგან „ყველაფერი ერთ სივრცეში“ – ისეა დაგეგმილი, რომ ბავშვი თავს კომფორტულად გრძნობს, შეიძლება ითამაშოს, გაერთოს, იკითხოს, სადილი მოამზადოს, ხატოს, ძერწოს, რაც მთავარია, ეს ყველაფერი უფასოა.*



ამ პროექტის შემდეგი ეტაპი სწორედ ეს სემინარია, რომელიც შვედმა სპეციალისტებმა ჩვენი ბიბლიოთეკარებისთვის და ამ სფერში მოღვაწე ადამიანებისთვის მოაწყვეს. მომხსენებლები თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებენ. იმედია, ამ სემინარებზე ქართველი ბიბლიოთეკარები ძალიან ბევრ სასარგებლოს მოისმენენ, რასაც შემდეგ, ალბათ, თავად დანერგავენ საკუთარ საქმიანობაში.“

სემინარზე ძალიან საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ შვედი სტუმრები და მოწვეულ ბიბლიოთეკარებს დეტალურად გააცნეს შვედური ხედვა თანამედროვე საბავშვო ბიბლიოთეკების შესახებ. უფსალას უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორმა **ლენა კორელანდმა** მოხსენებაში – *„საბავშვო ლიტერატურა და კითხვადობა ბავშვებში“* მიმოიხილა ბავშვებში კითხვადობის დონისა და კითხვის უნარ-ჩვევების შვედური ხედვა და ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ მუშაობენ შვედები იმისთვის, რომ ბავშვები წიგნთან კონტაქტში შევიდნენ, რა ურთიერთმიმართებაა წიგნსა და შვედურ საზოგადოებას შორის. ამ საკითხებთან დაკავშირებით მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, წლების განმავლობაში მომავალ მასწავლებლებს უკითხავდა ლექციებს საბავშვო ლიტერატურასა და ბავშვებში კითხვადობის შესახებ. ბევრი წიგნი აქვს გამოცემული საბავშვო ლიტერატურაზე, მათ შორის ტუვე იანსონის დასურათებულ წიგნებსა და ლენარტ ჰელსინგის მწერლობაზე. მისი ინტერესების სფეროს ასევე მიეკუთვნება ქალი მწერლები. უძღვებოდა სკოლაში მხატვრული ლიტერატურის გენდერულ ასპექტებზე და სკოლასა და პედაგოგიურ განათლებაში მხატვრული ლიტერატურის როლზე ჩატარებულ კვლევებს.

საქართველოში მოზარდთა წიგნიერების შესახებ ისაუბრა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ CHEMONICS – წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელმა **პაატა პაპავამ** და აღნიშნა, რომ PIRLS-ისა და PISA-ს საერთაშორისო კვლევების შედეგებმა გვიჩვენა, რომ დღეისათვის, საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მშობლები და პედაგოგები სერიოზული თავსატეხის წინაშე აღმოჩნდნენ – როგორ დააახლოვონ ბავშვი წიგნთან. PIRLS-ის კვლევების შედეგად, საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. მიზეზად კი უამრავ ფაქტორს შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება დაასახელა, რომელიც ბარიერად იქცა მოზარდსა და წიგნს შორის. მის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება სასკოლო ბიბლიოთეკების როლზე გამახვილდა, *„რადგანაც ბავშვი უმეტეს დროს სკოლაში ატარებს და სწორედ აქ ხდება მისი პიროვნების ჩამოყალიბება. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია სკოლის ბიბლიოთეკის როლი ამ პრობლემის გადაწყვეტაში.“*

სემინარის მონაწილეების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია **ლენარტ ლუნდბლადის** მოხსენებამ, რომელიც სტენჰამრაში „ბავშვების საკუთარ ბიბლიოთეკას“ ეხებოდა. მან დეტალურად უამბო სემინარის მონაწილეებს, როგორ გადაიქცა გასაუქმებელი ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის პოპულარულ და საყვარელ ადგილად.

ლენარტ ლუნდბლადი სტოკჰოლმის ეკეროს კომუნის კულტურული კომუნალური ორგანიზაციის ხელმძღვანელია. ეკერო სტოკჰოლმთან ახლოს მდებარეობს. ლენარტის სამუშაო გამოცდილება მოიცავდა კულტურული ადმინისტრატორის პოზიციას შვედეთის სხვადასხვა ქალაქში. აგრეთვე, ის იყო მუსიკალური პროდიუსერი ლულეოს სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში და მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი სტოკჰოლმის სამეფო ოპერის თეატრში. მისი მთავარი მიზანი ყოველთვის კულტურულ ცხოვრებაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა იყო.

ლენარტ ლუნდბლადი: *„ყველაფერი დაიწყო იდეით. ჩვენ დავფიქრდით, რა ესაჭიროება სტენჰამრაში დასახლებულ უამრავ ბავშვიან ოჯახს? გადავწყვიტეთ, რომ ის, რაც მათ სჭირდებათ, ბავშვების საკუთარი ბიბლიოთეკა იყო. ადამიანების დაინტერესება ჩვენი ხედვის განსახორციელებლად იოლი აღმოჩნდა. საკმარისი იყო წარმოგეთქვათ „ბავშვების საკუთარი ბიბლიოთეკა სტენჰამრაში“ და უკვე მხარს გვიჭერდნენ. გასაოცარია, რა დიდი ძალა შეიძლება ჰქონდეს სულ რამდენიმე სიტყვას. დაკეტვის პირას მისული ბიბლიოთეკა ბავშვების უსაყვარლეს და წარმატებულ ადგილად გადაიქცა. „ჩუ! ჩუ-მად!“ – ბიბლიოთეკაში არ უნდა ითქვას, იქ ხმაური შეიძლება იმ დოზით, რა დოზითაც ეს ბავშვებს უნდათ. ძალიან ბევრ აქტივობას, ღონისძიებას ვაწყობთ იმისთვის, რომ ბავშვები გაერთონ, თავი კარგად იგრძნონ, რომ შემდეგ დღესაც მოუნდეთ ბიბლიოთეკაში მოსვლა. მაგალითად, იმართება მცირე ზომის კონცერტები, გვაქვს თეატრი, ვიწვევთ საბავშვო მწერლებს, რომლებიც თავად უკითხავენ ბავშვებს ნაწარმოებებს, იმართება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. ჩვენ მათთვის ბიბლიოთეკის სიმბოლო „ტროლის დიპლომი“ დავაწესეთ. ტროლი ადრე სხვაგან ცხოვრობდა, გამოქვაბულში, ერთხელ მე შევთავაზე: არ გინდა ზამთარში, სიცივეში ჩვენთან, ბიბლიოთეკაში რომ გადმოსახლდე თქო? მაშინვე ჩვენთან გადმოსკუპდა და იმის მერე აღარც წასულა. ასე იქცა „ტროლი“ ჩვენი ბიბლიოთეკის სიმბოლოდ. ეს ყველაფერი კი იმისთვის მოვიგონეთ, რომ „ტროლმა“ ჩვენი თავი მაცხოვრებლებს შეახსენოს. ამ სიმბოლოს დახატვა ერთ-ერთ ცნობილ შვედ მხატვარს ვთხოვეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, რომ ბავშვებისთვის, ერთის ნაცვლად, 16 ტროლი დახატა უსასყიდლოდ. „ტროლის“ დიპლომის გადაცემა არავითარ თანხას არ გულისხმობს, სახელოვანი მწერლებისა და ლიტერატორების დაჯილდოება ჩვენი დიპლომით ჩვენივე სახელის გათქმაა. რაც მთავარია, ამ ბიბლიოთეკამ ადგილობრივ მაცხოვრებლებს გაუჩინა შეგრძნება იმისა, რომ მივიწყებული არ არიან და თავს დიდი ქალაქის მაცხოვრებლებივით გრძნობენ. ყოველ ღონისძიებას აშუქებს შვედური პრესა და ტელევიზიები, ეს აათმაგებს მაცხოვრებლებისა და ბავშვების ბიბლიოთეკასთან სიახლოვის მოტივაციას. რაც მთავარია, იმატა ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანის შემთხვევებმა. რამდენიმე ციტატას წაგიკითხავთ, რომელიც ბიბლიოთეკის შესახებ დაწერეს: 5 წლის გაბრაზებული ბავშვის ნათქვამი: „არ მინდა სახლში წასვლა, აქ მინდა დარჩენა!“; 75 წლის, ასევე გაბრაზებული, კაცის ნათქვამი (ეს მოხუცი სტენჰამრაში პენსიონერთა საზოგადოების თავმჯდომარეა): „რატომ გაგ-*

სემინარი

ვაგდეთ, აქ გვინდა ყოფნა!"; როცა ავუხსენი, რომ ახლა გაცილებით მეტი წიგნი გვაქვს მათი ასაკისთვის განკუთვნილი და არც არავინ აპირებს ბიბლიოთეკის დახურვას, მაშინ მომიბოდიშა და კმაყოფილი წავიდა; ასეთი ციტატაც არის: „ამის გაკეთებას რა უნდოდა, ამას ხომ მეც გავაკეთებდი!". ვეთანხმები, ნებისმიერს შეუძლია ამის გაკეთება, ვინც კი მოინდომებს. ბოლოს კი ბიბლიოთეკარის ჩანაწერი, არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, ერთი ჩვეულებრივი დღე იყო: „მთელი სოფელი აქ მოსულა, თუმცა, რა გასაკვირია, როგორც ყოველთვის."

ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენთვის ამის მოყოლის საშუალება მომეცა. იმედი მაქვს, აქაურ კოლეგებთან თანამშრომლობის საშუალება კიდევ მექნება. ერთი ცნობილი გამონათქვამი მახსენდება: „ადამიანმა უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ ყველაფერი პატარა დიდად აქციოს!"

ინგრიდ შელსტრომის მოხსენება – „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბიბლაში!" მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვავითაროთ საბავშვო ბიბლიოთეკის საქმიანობა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის საფუძველზე.

ინგრიდ შელსტრომი 1985 წლიდან მუშაობს, როგორც სასკოლო და გიმნაზიის ბიბლიოთეკარი. ამჟამად მუშაობს სტოკჰოლმის საქალაქო ბიბლიოთეკაში – ავტობუს-ბიბლიოთეკაში. აქვს პედაგოგიური განათლება, ბაღსა და სკოლაში მუშაობის გამოცდილება. მან ისაუბრა ბიბლიოთეკაზე, როგორც ოთახზე ბავშვებისათვის და იმაზე, რა უნდა იყოს ამომავალი წერტილი როგორც საბავშვო ბიბლიოთეკის ინტერიერის მოწყობის, ასევე მუშაობის სტილშიც.

საბავშვო მწერალი **ევა სუსო**, რომელსაც გამოცემული აქვს 23 წიგნი ბავშვებისა და მოზარდებისათვის, პირველი შვედი მწერალია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში რინკებიუს ბიბლიოთეკამ „იშვილა".

„ნაშვილებმა მწერალმა" ისაუბრა ბიბლიოთეკას, სკოლასა და მწერალს შორის თანამშრომლობაზე. მან სემინარის მონაწილეებს იმ ერთ წელიწადზე უამბო, როდესაც „ნაშვილები" მწერალი მუშაობდა ბავშვებსა და მოზარდებთან სხვადასხვა პროექტზე „საკუთარ" ბიბლიოთეკაში, კვირაში ორჯერ ხვდებოდა მოსწავლეებს და ატარებდა წერის კურსებს; ოთხშაბათობით ხელმძღვანელობდა წიგნის წრეს 14 წლის გოგონებისთვის, რაც საუკეთესო მაგალითია იმის, თუ როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს აქტივობები და თანამშრომლობა ბიბლიოთეკასა და სკოლებს შორის.

საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესო სემინარი 29 მაისს დასრულდა ვორკშოპით ბიბლიოთეკარებისა და საბავშვო მწერლებისათვის, რომელსაც უძღვებოდნენ საბავშვო ბიბლიოთეკარი ინგრიდ შელსტრომი და საბავშვო მწერალი ევა სუსო.

მარი ოსკარსონი, პროექტის ხელმძღვანელი, საბავშვო მწერალი: *„შვედურმა ინსტიტუტმა დააფინანსა პროექტი, რომელიც, ასე ვთქვათ, ქართული საბიბლიოთეკო საქმიანობის ხელშეწყობას გულისხმობს. ეს კულტურული ურთიერთობების ერთგვარი გაცვლაა ჩვენს ქვეყნებს შორის. ამ პროექტით საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი შვედური მოდელი მოვახვიოთ თავს ქართულ მხარეს. მათ საკუთარ რეალობაზე მორგებული მოდელი უნდა ჩამოაყალიბონ და ასე განავითარონ ქართული საბავშვო ბიბლიოთეკები. ეს სემინარი სწორედ ამას ემსახურება. გვინდოდა, ხმა მიგვეწვდინა იმ ადამიანებისთვის, ვინც ბიბლიოთეკებში მუშაობენ ან ამ სფეროთი არიან დაინტერესებულნი. მათი საშუალებით გვინდა გადავცეთ ჩვენი გზავნილი მთელ ქვეყანას, საზოგადოებას.*

პროექტის ფარგლებში, საქართველოში რამდენიმე ბიბლიოთეკა მოვინახულეთ და ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ გამოიყურება ქართული საბავშვო ბიბლიოთეკები. პირველ რიგში, რაც თვალში მოგვხვდა, ეს საჭიროებებია, რომელიც ეხება თუნდაც ჩამონგრეულ კედლებს, რომელსაც შეკეთება სჭირდება, მოძველებულ წიგნებს, რომელიც აუცილებლად გასაახლებელია ან თუნდაც პერსონალს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ასაკოვანია და აკლია თანამედროვე განათლება და მიდგომები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათ ხომ დიდი ხნის წინ მიიღეს განათლება და წლების განმავლობაში ცოდნა არ განუახლებიათ. დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ჯერ კიდევ ძველი სტრუქტურაა შემორჩენილი, ისეთი, რაც ძალიან დიდი ხნის წინ გამოიყენებოდა. წიგნს ჯერ კიდევ აღიქვამენ ნივთად, რომელსაც არ უნდა შეეხო, თაროზე უნდა იდოს და ზედმეტად ხელი არ უნდა მოკიდო. შესაძლოა, ეს სტრუქტურა საქართველოსთვის კარგიც არის, მაგრამ ჩვენ გვსურს, ამ პროექტის ფარგლებში, ქართველმა ბიბლიოთეკარებმა და საზოგადოებამ, ბიბლიოთეკებს სხვა კუთხით, ახლებურად შეხედონ. გვინდა, მათ ალტერნატივები დავანახოთ. შვედეთში სხვაგვარი ხედვა გვაქვს – ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც ბავშვები თავისი საკუთარი სურვილით მიდიან და არა სხვისი მოთხოვნით, ეს მათთვის ის ადგილია, სადაც არაფერს უკრძალავენ, შეუძლიათ ნებისმიერი თაროდან ნებისმიერი წიგნი აიღონ, შეძვრნენ, სადაც უნდათ – მაგიდის ქვეშ ან სადმე კუთხეში და იქ იკითხონ ისე, რომ მათ უფროსებმა ხელი არ შეუშალონ.

პროექტი რამდენიმე ეტაპისგან შედგება – ერთ-ერთი ეტაპი იყო ქართული დელეგაციის სტუმრობა ჩვენთან. მათ სხვადასხვა ბიბლიოთეკის დათვალიერების საშუალება მიეცათ. ნახეს, რა განსხვავებაა ჩვენს ბიბლიოთეკებსა და აქაურ ბიბლიოთეკებს შორის და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლება განავითარონ ეს მიმართულება საქართველოში, რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით. სწორედ ასეთ აქტივობებს აფინანსებს შვედური ინსტიტუტი – კულტურული გაცვლა – დელეგაციების წაყვანა ან ბიბლიოთეკარების გადამზადება, მათი სამომავლო განათლება და ა.შ. ვცდილობთ, ის თანხა, რომელსაც შვედური ინსტიტუტისგან ვიღებთ, რაც შეიძლება ოპტიმალურად გამოვიყენოთ. დიდი ძალისხმევა ჩავდეთ იმაში, რომ სემინარისთვის გამოყოფილი თანხის ბიუჯეტი, რაც შეიძლება მეტად „გაგვეწელა", რომ ამ სემინარისთვის სამუშაო შეხვედრაც, ანუ ვორკშოპი დაგვემატებინა, სადაც ბიბლიოთეკარები სემინარზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასაც შეძლებენ.

პროექტის ფარგლებში, ჩამოვიყვანეთ შვედი პროფესორი ***ლენა კორელანდი.*** *ის ამ სფეროში მოღვაწეობს და ილიას უნივერსიტეტში საბავშვო ლიტერატურის თემაზე ლექციას წაიკითხავს, რომლის მოსმენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. პროექტის ფარგლებში, შევეცდებით გავაგრძელოთ აქტივობები იმისდა მიხედვით, თუ რა საჭიროებებს დავინახავთ. ეს შეიძლება იყოს ბიბლიოთეკარების ვიზიტი შვედეთში, მათი გადამზადება და ა.შ. იმედი მაქვს, ჩვენი დელეგაცია კიდევ არაერთხელ ჩამოვა საქართველოში, ამჯერად შესაძლოა – ახალი, თანამედროვე, საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნაზეც კი, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს ჩვენს სახელმწიფოებს შორის კულტურულ თანამშრომლობას. ეს პროექტი არ არის მხოლოდ საუბარი, ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, რომლის შედეგებსაც, ალბათ, მალე ვიხილავთ!"*

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი: *„ერთობლივ სემინარზე შევეცადეთ შეგვეკრიბა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რათა ერთად გვეფიქრა იმაზე, გვჭირდება თუ არა საბავშვო ბიბლიოთეკები და თუ გვჭირდება, როგორი უნდა იყოს მათი მომავალი. ამიტომ, თავისთავად, სემინარის ჩატარება უკვე შედეგიანია. მთავარი იდეა ის არის, რომ შესაძლებელია, შვედეთის მხარის დახმარებით, მივიღოთ სამწლიანი გრანტი (ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი). თუ ეს განხორციელდა, გარკვეული ბიძგი მიეცემა საბავშვო-საბიბლიოთეკო მომსახურებას საქართველოში. ამ პროექტის ფარგლებში, თბილისში შერჩეულია ერთ-ერთი ბიბლიოთეკა, რომელიც მომავალში სანიმუშო საბავშვო ბიბლიოთეკად გადაიქცევა. სანიმუშო არა იმ გაგებით, რომ ბიბლიოთეკაში კარგი რემონტი გაკეთდება და კარგი წიგნები იქნება შეტანილი, არამედ იმ გაგებით, რომ იქ მისულ მკითხველს სანიმუშო სერვისს შევთავაზებთ, საბავშვო ბიბლიოთეკა სიცოცხლეს შეიძენს. თუმცა, კონკრეტულად როგორი უნდა იყოს ეს ბიბლიოთეკა, ამას არც შვედური მხარე გვიკარნახებს და არც მხოლოდ ჩვენ გადავწყვეტთ. აუცილებლად გავითვალისწინებთ საზოგადოების, ბავშვების აზრს, რადგან ბიბლიოთეკა სწორედ მათთვისაა განკუთვნილი. ასეთი მაგალითები უცხოეთში ძალიან ბევრია. მარტივ მაგალითს დაგისახელებთ: გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ბავშვებს ჰკითხეს, რა ფერით შეეღებათ ბიბლიოთეკის კედლები – მათ ძალიან ჭყეტელა ფერი აირჩიეს, მაგრამ ამით ისეთი კმაყოფილები იყვნენ, რომ ბიბლიოთეკაში უფრო აქტიურად დაიწყეს სიარული. სწორედ ამ პრინციპითაა ჩაფიქრებული ახალი ბიბლიოთეკის გაკეთება. გარდა იმისა, რომ ერთი სანიმუშო ბიბლიოთეკა გაკეთდება, დაგეგმილი გვაქვს სხვა ქალაქებისა და რაიონების ბიბლიოთეკარების ჩამოყვანა და მათთვის ტრენინგების ჩატარება. შევეცდებით, სკოლის ბიბლიოთეკარებიც ჩავრთოთ პროექტში, რადგან აუცილებელია მათთან თანამშრომლობა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან კარგ შედეგს მოგვცემს.*

შვედეთში ვიზიტის მთავარი შთაბეჭდილება კი ასეთია: როდესაც ქართულ საბავშვო ბიბლიოთეკაში შევდივართ, გარდა იმისა, რომ გასარემონტებელია, თვალში გვხვდება იქ გამეფებული გარკვეული სიმკაცრე. შვედეთში სულ სხვა მიდგომაა – იქ ფიქრობენ, რომ ბავშვი ბიბლიოთეკაში რომ მიდის, ჯერ უნდა ითამაშოს, გაერთოს და წიგნის კითხვა მერე დაიწყოს. ეს ყველაფერი იმაზეა გათვლილი, რომ ბავშვს იქ ყოფნა სიამოვნებდეს. სასურველ გარემოში კი თამაშ-თამაშით წიგნების და კომპაქტდისკების გამოყენებაც ხდება. უამრავი საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიება ტარდება. შეიძლება ითქვას ასე, რომ თუ ძველი სტილის ბიბლიოთეკები თაროზე დადებული წიგნების საცავია, ახალი სტილის ბიბლიოთეკები ძალიან ხმაურიანი ადგილია, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებებით დატვირთული. პროექტის შემდგომი ნაბიჯი იქნება დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ გავაკეთოთ მომავალი ქართული საბავშვო ბიბლიოთეკა."

დაიწერება თუ არა ჩვენი შემდეგი წერილი უკვე ახალ ქართულ საბავშვო ბიბლიოთეკაზე, ეს პროექტის მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. ამის თქმის საბაბას კი პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ქალბატონი მარი ოსკარსონის, სიტყვები მაძლევს – ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ ის საქართველოში ახალი საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნამდე დამემშვიდობა.

ლალი ჯელაძე

იურისტის კონსულტაცია

როდესაც სკოლას არ ჰყავს საგან „ხელოვნების“ სპეციალისტი, პედაგოგის შერჩევისას რომელი საგნის სპეციალისტს ენიჭება უპირატესობა?

საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება, შესაბამისი უმაღლესი სახელოვნებო განათლება და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

როდესაც სკოლას არ ჰყავს საგან „ხელოვნების“ სპეციალისტი, პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭებათ ჰუმანიტარული მიმართულების საგნების სპეციალისტებს, რომელთაც გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. მასწავლებლის უნარჩვევები უნდა შეესაბამებოდეს საგან „ხელოვნების“ პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს.

მოქმედი მასწავლებელი, რომელსაც აქვს ქართული ენის მასწავლებლის სერტიფიკატი, დიპლომითაც მინიჭებული აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია, ასწავლის ხელოვნებას, იმავე სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობს პედაგოგი, რომელსაც არ აქვს სერტიფიკატი და არის პენსიონერი – ასეთ შემთხვევაში, რომელ მასწავლებელს აქვს უფლება, ასწავლოს სრული დატვირთვით ქართული ენა და ლიტერატურა?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5’ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, უნდა ჰქონდეს სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რომელი საგნის საათზე მიიღეს პედაგოგად ზემოაღნიშნული სერტიფიცირებული მასწავლებელი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად იქნა მიღებული, მუშაობდა ამ საგნის მასწავლებლად და შემდეგ გადაიყვანეს ხელოვნების მასწავლებლად, თუ თავიდანვე ხელოვნების პედაგოგად იქნა მიღებული.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის თანახმად, 2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლა ნებაყოფლობითია.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, **„შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.“**

საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს საპენსიო ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას, ამიტომ იგი არ უნდა იყოს განმსაზღვრელი სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სრული საათობრივი დატვირთვა მიეცემა თუ არა.

საჯარო სკოლის მიერ რა ქმედებების განხორციელება საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობას?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებას საჭიროებს სკოლის მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

1. უძრავი ქონების შეძენა; სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;
2. სესხის აღება;
3. თავდებობა;
4. საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;
5. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასასაქმებელი შტატგარეშე მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
6. სხვა გადაწყვეტილებები სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

რა ერთეულებისაგან შედგება სკოლის საშტატო განრიგი?

სკოლის საშტატო განრიგი შეიძლება შედგებოდეს შემდეგი საშტატო ერთეულებისაგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ადმინისტრატორი (თუ სკოლის ბალანსზე ირიცხება ერთ შენობაზე მეტი), ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი (თუ სკოლა ჩართულია ინკლუზიური განათლების პროგრამაში), მასწავლებელი.

რა პროცედურით იხილება მასწავლებლის საჩივარი მისი უფლებების დარღვევისას?

მასწავლებელი, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს ორი კვირის განმავლობაში, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლებების დარღვევის შესახებ. საჯარო სკოლის დირექტორი საჩივარს განიხილავს შეტანიდან ორი კვირის ვადაში. დირექტორის გადაწყვეტილება, მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში გადაწყვეტილების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში. სამეურვეო საბჭო ვალდებულია განიხილოს საჩივარი 1 თვის ვადაში. საჩივარი არ განიხილება, თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები: განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, უფლების დარღვევის არსი და მოთხოვნის არსი.

აქვს თუ არა უფლება სკოლის პედაგოგს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სკოლისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?

მასწავლებელს უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლის უკანონო ქმედებები და სხვა არამართლზომიერი გადაწყვეტილებები, აგრეთვე მიიღოს სკოლისაგან მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა

25 მაისს, ახალციხის ი. ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, თემაზე: „სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა“, რომელიც ამავე სკოლის IV^{ბ} კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი – **მზია კაველიძე**) წარმოადგინეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, პედაგოგები, მშობლები და მოწვეული სტუმრები, აგრეთვე, ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები, რომლებმაც საინფორმაციო გადაცემაში გააშუქეს ეს მოვლენა.

ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით დაიწყო. ბავშვებმა წარმოადგინეს ლექსები, სიმღერები, ინსცენირებები სამშობლოს თემაზე. პარალელურად, ეკრანზე გადიოდა სლაიდები საქართველოს დიდებული წარსულისა და თანამედროვე საქართველოს აღმშენებლობის შესახებ.

შემდეგ გაიხსენეს ის პერიოდი, როდესაც პირველად შემოაბიჯეს სკოლაში. თავიანთ პირველ მასწავლებელს მიუძღვნეს ლექსები – მათ ხომ ოთხი კლასი დაამთავრეს და გამოეთხოვნენ პედაგოგს.

დასასრულს, მონტაჟის სახით წარმოადგინეს საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის „ყველაფერი კარგად იქნება“.

სიტყვით გამოვიდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი ჟენია მერაბიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე **მაყვალა კაჭკაჭაშვილი**, რომლებმაც პატარებს და დამსწრე საზოგადოებას ეს ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ზეიმის შემდეგ მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღეს.

რუსუდან ჭიპაშვილი

„ჩემი ფერია ყვითელი ფერი...“

არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“ (დირექტორი – **ალექსანდრე ჯავახიშვილი**, მოადგილეები: **ვენერა ჩიფჩიური** და **მარიკა ილურიძე**) IV^{2} კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო – „ჩემი ფერია ყვითელი ფერი...“, სადაც მოსწავლეებმა ინოლა გურგულიას შემოქმედება წარმოაჩინეს.

კეთილმოწყობილი დარბაზი და სცენა სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. ღონისძიება კიდევ უფრო გაალამაზა მონაწილეთა ლამაზმა კოსტიუმებმა.

მოსწავლეები: **ანა მანაგაძე, რუსუდან ოკინაშვილი, ირაკლი მხატვარი, ნიკა მამისაშვილი, ლუკა ჩერქეზიშვილი, ლევან გოგრიჭიანი, ლუკა თაბაგარი, ალექსანდრე გირგვლიანი, მალხაზ აბაზოვი, ნიკა ბუჩუკური, ნიკა კოტრიკაძე** გამართული მეტყველებითა და სამსახიობო ოსტატობით კითხულობდნენ ლექსებს: „ჩემი ფერია ყვითელი ფერი“, „სიცოცხლე დედამიწაზე“, „იყო და არა იყო რა“, „მე შენი ნახვა მომნატრებია“, „მაგრამ სულ სხვაა დღეს ამღერება“, „იყავ მზის სხივი ან წყარო წმინდა“, „დილით, როცა ძილი მზემაც მოილია“, „გული კვლავ ღელავს“, „რა წაგიკითხო?“, „რამდენი ხანია გულს ამღერება წყუროდა“, „ის შენი ქუჩაა ბილიკის ბოლოს“, „დამიკარგიხარ, დაგტირი, ვაჟკაცო ჩემო მზიანო“, „მე მიყვარს როცა თენდება დილა“, „რატომ მეგონა ნეტა?“, „საით“.

საღამოს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა სიმღერებმა: „ოდელია დელა“, „საქანელა“, „ადამიანი“, „მადლობელი ვარ“, „განდაგანა“, „კარუსელი“, რომლებსაც დიდი მონდომებითა და პროფესიონალიზმით ასრულებდნენ: **ქეთევან ხოჯაშვილი**, **ირინა კალაძე, ლიზა საბოლევა, გიორგი ხომერიკი, ნიკა კოდიაშვილი** (მუსიკის პედაგოგი – **ნანა იმიშვილი**).

მაყურებელი დიდი სიყვარულით შეხვდა ცეკვების „დავლურისა“ და „კინტაურის“ შემსრულებლებს: **თაკო ყელბერაშვილს, ანა არაბულს, გვანცა ფერაძეს, ზაურ გოგოხიას, საბა ოსაძეს**.

ტაშსა და ოვაციებს არ იშურებდნენ, ასევე, პატარა შემსრულებლების მისამართით (ცეკვის მასწავლებელი და აღმზრდელი – **მაია კელბერაშვილი**).

საღამოს დასრულების შემდეგ ბევრი სამადლობელი სიტყვა მოვისმინე დამსწრე საზოგადოებისაგან. მათი მოწონება დაიმსახურა იმ ფაქტმაც, რომ მოსწავლეებთან ერთად თავადაც ვმონაწილეობდი ღონისძიებაში, რამაც პატარებს მეტი სითამამე და გამბედაობა შემატა.

ღონისძიების შემდეგ სიხარულსა და აღტაცებას ვერ მალავდნენ პატარები, მათ სურვილი გამოთქვეს, კიდევ მიიღონ მონაწილეობა მსგავს საღამოში. მიმაჩნია, რომ ჩემი მიზანი მიღწეულია – პატარებში გაღვივდა სურვილი, ეზიარონ ქართული სიტყვის მადლსა და ლაზათს.

ნატა ცხადაძე
არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ მეტყველების პედაგოგი

„მზეკაბანი–2007“ გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან, ყოველწლიურად, ტარდება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყველა საგანში. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. მისი მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა; სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა; სასკოლო ცხოვრების სტიმულირება; მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება; საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

2012 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში უპრეცედენტო რაოდენობა – 265 000 მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან მეორე ტურში 52 610 მოსწავლე გადავიდა, ხოლო მესამეში – 2 293. ოლიმპიადის შესარჩევი, პირველი ტური უშუალოდ სკოლებში ჩატარდა; მეორე და მესამე ტური სამინისტროს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა; მეორე ტური 65 ქალაქისა და რაიონული ცენტრის 91 სკოლაში მიმდინარეობდა.

2012 წელს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში დიდ წარმატებას მიაღწია კერძო სკოლამ „მზეკაბანი-2007“ – გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა.

ნინელი გვენეტაძე, შ.პ.ს. კერძო სკოლის „მზეკაბანი-2007“ დირექტორი: *„სკოლის დირექტორად ჩემი მუშაობის პერიოდში გამარჯვებებით მიღებული ბევრი სიხარული და ბედნიერება განმიცდია, მაგრამ გახდე ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული სკოლა, საქართველოს 2 000-ზე მეტ სკოლათა შორის და გყავდეს სამი გამარჯვებული მოსწავლე, ოლიმპიადაში მონაწილე 265 000 მოსწავლეთა შორის, ეს უდიდესი ბედნიერება ყოფილა.*

მიჭირს სიტყვებით გადმოვცე ის გრძნობა, რაც განვიცადე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამარჯვებული მოსწავლის ***ანი კირკიტაძის*** *და სკოლის სიგელითა და ფულადი ჯილდოთი, საზეიმოდ დაჯილდოების დროს.*

მინდა დიდი მადლობა მოვახსენო აღნიშნული ოლიმპიადის ორგანიზატორს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; მინისტრს, ბატონ ***დიმიტრი შაშკინს****; ოლიმპიადის ჩამტარებელ გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რადგან ოლიმპიადა ხელს უწყობს როგორც სწავლების ხარისხის, ასევე მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას.*

თერჯოლის პედაგოგიურ ელიტას ჰყავს ღირსეული და გამორჩეული პიროვნებები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ქალბატონ ***ნორა ჩუბინიძეს*** *– მრავალი თაობის უსაყვარლეს პიროვნებასა და გეოგრაფს. მას იცნობენ, როგორც მოსწავლეთა სიყვარულით აღსავსე და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულ მოძღვარს. მისი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა ნაყოფიერია მაღალი შედეგებით, რომელთა კულმინაციაც წლევანდელი ღირსეული წარმატებაა. ნორა მასწავლებლის სამმა მოსწავლემ გეოგრაფიის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის დასკვნით ტურში გაიმარჯვა. ანი კირკიტაძემ II საპრიზო ადგილი დაიკავა,* ***გიორგი დოლაკიძე*** *და* ***ჩილ სიმონგულაშვილი*** *კი საუკეთესო ათეულის წევრები გახდნენ.*

უღრმესი მადლობა მას, რადგან მისმა დაუღალავმა მუშაობამ მოუტანა სკოლას ესოდენ დიდი გამარჯვება, ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ, სხვათა დამოძღვრითა და სწავლებით გაცემული დიდი მადლი მომავალშიც გამარჯვებებად დაბრუნებოდეს.

მადლობა ***ია დოლაკიძეს, ილია ბუცხრიკიძეს****, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს სკოლის წარმატებაში.*

იმედი მაქვს, მიღწეულ შედეგს მომავალში კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ.“

ანი კირკიტაძე, IX კლასის მოსწავლე: *„მიმდინარე სასწავლო წელი მეტად იღბლიანი აღმოჩნდა მთელი „მზეკაბანისათვის“ და მათ შორის ჩემთვის.*

გეოგრაფიის ეროვნულ-სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებამ დამარწმუნა, თუკი მოინდომებ, ამქვეყნად მიუღწეველი არაფერია.

ჩემს ოჯახში, ტრადიციულად, ყველაზე დიდი ღირებულებაა განათლება და ბედნიერებაა, რომ ამ შემთხვევაში სკოლისა და მშობლების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.

მუდამ ვამაყობდი ჩემი ძმის, ბაქარის მიღწევებით და მინდოდა, რომ იგივე მასაც განეცადა როდესმე ჩემი წარმატებიდან გამომდინარე.

მადლობა მინდა გადავუხადო გეოგრაფიის მასწავლებელს – ქალბატონ ნორა ჩუბინიძეს, ჩემს გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ მას მიუძღვის. მიხარია, ჩემი მეგობრების – არჩილ სიმონგულაშვილისა და გიორგი დოლაკიძის წარმატებები – სამთავემ უკვე მივიღეთ მოწვევა წყნეთის ბაზაზე არსებული ინგლისური ენის საზაფხულო სკოლიდან.

17 მაისი უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, არასოდეს გაუფერულდება ის განცდა, რომელსაც დაჯილდოების მომენტში ვგრძნობდი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გაცემული დიპლომი და ფულადი პრემია უდიდესი სტიმულია მომავალი წარმატებების მისაღწევად“.

ჩემი ტაო-კლარჯეთი

ეს დღე განსხვავებული და მნიშვნელოვანი იყო გარდაბნის რაიონის კრწანისის საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის (სკოლის დირექტორი – ბატონი **ნუგზარ ძირკვაძე**). მთელი დღის განმავლობაში მოსწავლეთა საქმიანი ფუსფუსი არ შეწყვეტილა. საზეიმოდ აწყობდნენ სააქტო დარბაზს, აფორმებდნენ კედლის გაზეთს, რომელიც გვამცნობდა, რომ 2012 წლის 21მაისს ატარებდნენ პოეზიის საღამოს.

მალე სტუმრებიც გამოჩნდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სრული პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე**; წიგნის „ჩემი ტაო-კლარჯეთი“ ავტორი, პოეტი **დალი მაზმიშვილი**, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლიდან – პოეტი **ლალი ჯაფარაშვილი** და სხვა სახელოვანი ადამიანები.

აქ, კრწანისის ძირძველ მიწაზე, განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოხატეს მოზარდებმა დაკარგული ისტორიული სამშობლოს – ტაო-კლარჯეთისადმი, რომელსაც ეძღვნება დალი მაზმიშვილის „ჩემი ტაო-კლარჯეთი“ და რომლის რედაქტორია ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე.

თვალში მოგხვდებოდათ საზეიმოდ მოწყობილი სცენა, რომელსაც მოსწავლეთა ემოციური გამოსვლები ალამაზებდა. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი გოგონიჭები გატაცებით ცეკვავდნენ და მღეროდნენ. შთამბეჭდავი და ემოციური იყო თითოეული გამოსვლა. როგორ შეიძლება მათი ანთებული თვალების დავიწყება, მათი გულებიდან წამოსული სიყვარულის არდანახვა.

ეს არის სკოლა, სადაც ეროვნული იდეების პატივისცემა სასკოლო ეროვნული გეგმით ხორციელდება, სადაც სწორი მიმართულებით ყალიბდებიან მოსწავლეები, ასწავლიან ისეთი პედაგოგები, როგორიცაა: დღევანდელი პოეზიის საღამოს ხელმძღვანელი, ფილოლოგი იამზე ფუტკარაძე. იგი ახალგაზრდა, ენერგიული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ქალბატონია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრის შესწავლა

სურს. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ფონი, რომელიც ტაო-კლარჯეთის ტაძრების ჩვენებას ახლდა შესაფერის მუსიკასთან ერთად. ასე უფრო გასაგები ხდებოდა დაკარგული ქართული მიწების გამო ქართველის გულისტკივილი. გულში ჩამწვდომად ჟღერდა სტრიქონები:

„შორს მოჩანს ღრუბლის ნაფლეთი,
თითქოს ლაჟვარდთან დაობს,
მტკივა ლამაზი კლარჯეთი,
მტკივა ლამაზი ტაო!”

ღონისძიების დამთავრების შემდეგ, ქალბატონმა შუშანა ფუტკარაძემ კრწანისელ მოსწავლეებს იმედიანი მომავლის რწმენით „კრწანისის ყაყაჩოები“ უწოდა.

პოეტმა დალი მაზმიშვილმა მადლობა გადაუხადა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მშობლებს და მოსწავლე ახალგაზრდობას ღონისძიების მოწყობისა და პოეზიის სიყვარულისთვის. დღეს, როდესაც სკოლა უამრავი საქმით არის დაკავებული და მაინც გამონახავს დროს ამგვარი ღონისძიების ჩასატარებლად, ნამდვილად დასაფასებელია. ამ მხრივ მისაბაძია სკოლის დირექტორის ნუგზარ ძირკვაძის პედაგოგიური მიდგომა საკითხისადმი. მან იცის, რა არის საჭირო მოსწავლეთა ცოდნის არეალის გასაფართოებლად; იცის, რა ესაჭიროება მოზარდს, სად დგას და რისკენ უნდა გაიკვალოს გზა, დიდი გულშემატკივარია თითოეული მოსწავლის მცირე წარმატებისაც კი.

ნინო ძუთათელაძე

სპორტი

უნივერსიადაზე სტუ დაწინაურდა

საქართველოს სპორტულ ბაზებზე გრძელდება ქვეყნის „უნივერსიადა-2012“, რომლის ორგანიზატორია საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, გენერალური სპონსორი – „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“, მხარდამჭერი კი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ბოლო კვირაში უნივერსიადის პროგრამაში შეტანილი სპორტის 22 სახეობიდან კიდევ რამდენიმეში გაიმართა შეჯიბრებები. სამბისტთა საუნივერსიტეტო პირველობას ვაკეში მდებარე სამბოს დარბაზმა უმასპინძლა. იქ ჩემპიონები გახდნენ: **გენადი ჩირგაძე** (57, ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტი), **იაკობ გაზდელიანი** (62, აგრარული), **შავლეგ კაპანაძე** (68, გორი), **მიხეილ გიორგაძე** (74, გორი), **თეიმურაზ ხაჩიძე** (82, თსუ), **გიორგი კობაიძე** (90, ილიაუნი), **გიორგი ქავთარაძე** (100, ილიაუნი) და **შავლეგ ბერუაშვილი** (+100, აგრარული). აღსანიშნავია, რომ ქუთაისელი ჩირგაძე ორიოდე კვირის წინ ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა. წლეულს ის ახალგაზრდული ნაკრებიდან გადმოვიდა. გუნდურ ჩათვალში აგრარულმა უნივერსიტეტმა გაიმარჯვა, მეორე მაჩვენებელი გორის უნივერსიტეტს აღმოაჩნდა, მესამე – ილიას უნივერსიტეტს.

მძლეოსანთა შეჯიბრებას ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა და იქ გოგონებში უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ სტუდენტმა **მაია გოგოლაძემ** გაიბრწყინა – 100 და 200 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ მაისის დასაწყისში მან სოფიაში ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა. ვაჟთა შორის 100-მეტრიან დისტანციაზე **ოთარ ხაჭაპურიძემ** (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი) გაიმარჯვა, რომელმაც მეორე ოქრო სიგრძეზე ხტომაში ირგუნა. ასევე ორი ოქრო მოიპოვა ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტმა **გიორგი ზილბერშტეინმა** – 200 და 400 მეტრზე სირბილში. 800-იან დისტანციაზე **დავით გორდელაძემ** (სოხუმი) იჩემპიონა, 1500-იანზე – მისივე თანაუნივერსიტეტელმა **ბექა ჯღარკავამ**.

მოცურავეთა შორის სამი ოქროთი ეროვნული ნაკრების წევრი, საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტი **გიგი მთვრალაშვილი** გამოირჩა – მან გაიმარჯვა ბატერფლაით და გულაღმა 50-მეტრიან დისტანციებზე ცურვაში და 100-ზე კომპლექსურში. ასევე სამი მედალი, ოღონდ 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო ირგუნა **დავით მურჯიკნელმა** (საქართველოს უნივერსიტეტი) – ის ბატერფლაით და თავისუფალი სტილით 50-იან დისტანციებზე მეორე იყო, ხოლო 100-ზე კომპლექსურში – მესამე. ბატერფლაით და გულაღმა 50-იან დისტანციებზე ორი ბრინჯაოო დაიმსახურა **გიგა აფციაურმა** (სამედიცინო). თავისუფალი სტილით 50-იანი დისტანცია ყველაზე სწრაფად **ვაჟა ჭიოტაშვილმა** (სტუ) გაცურა, ბრასით 50 მეტრი – სამედიცინოელმა **ილია მანჯგალაძემ**. **გიორგი სირბილაძე** (ილიაუნი) მეორე იყო 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში, მესამე – 50-ზე ბრასით. **ცოტნე მაისურაძემ** (თსუ) ვერცხლი 100-ზე კომპლექსურში მოიპოვა, ბრინჯაო – 50-ზე თავისუფალი ყაიდაში. **თორნიკე მაისურაძე** (რობაქიძის უნივერსიტეტი) მეორეზე გავიდა 50-ზე ბრასით ცურვაში.

გოგონებში ასპარეზობა ორ დისციპლინაში ჩატარდა და ყველაზე წარმატებით გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის სტუდენტი **სოფო დეკანოსიძე** გამოვიდა – თავისუფალი ყაიდით 50-ზე ცურვაში გაიმარჯვა, ბრასით 50-ზე კი მეორე შედეგი აღმოაჩნდა. ილიას უნივერსიტეტელმა **ქეთი სიხარულიძემ** ორი მედალი მოიპოვა – „თავისუფალში“ მეორე იყო, ბრასით – მესამე. ბრასით ცურვა **ელენე გიორგობიანმა** მოიგო შავი ზღვის უნივერსიტეტიდან, „თავისუფალში“ ბრინჯაო კი **ქეთი ჯაფარიძემ** ირგუნა სტუ-დან. აქ გუნდურ ჩათვლაში საავიაციომ გაიმარჯვა, მეორე-მესამე ადგილები კი, შესაბამისად, თავართქილაძის და სამედიცინოს უნივერსიტეტებმა გაინაწილეს.

ამ სახეობების გარდა, შეჯიბრებები ჭადრაკში, ტაეკვანდოში და კარატეშიც გამოვლინდნენ. ამით უნივერსიადამ ეკვატორიც გადალახა – 22-დან 12 სახეობაში უკვე დასრულდა შეჯიბრებები, ღონისძიებას კი როგორც მედლების საერთო, ისე კონკრეტულად ოქროების რაოდენობით სტუ ლიდერობს – მათ აქტივში, ჯამში, 40 მედალია, აქედან 16 ოქროა, 9 – ვერცხლი და 15 – ბრინჯაო. მეორე ადგილზე 29 მედლით აგრარული უნივერსიტეტია – 6 ოქრო, 10 ვერცხლი და 13 ბრინჯაო. ილიას უნივერსიტეტის მონაგარი 22 მედალია, რომელიც ხარისხობრივად ასეა განაწილებული – 6, 7 და 9.

იტალიელებმა, ამ გოგოებს სად მალავდითო

ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქმა დიდი წარმატებით უმასპინძლა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირს – „თბილისის თასი“, რომელშიც ჩვენებთან ერთად რუსეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, უზბეკეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც გამოდიოდნენ. მწვრთნელის სტატუსით, რუსეთიდან ოლიმპიური თამაშების პრიზიორი **ოქსანა სკალდინა** გვესტუმრა, რომელიც ჩვენი ნაკრების წევრის **ელვირა ზუკაკიშვილის** პირადი დამრიგებელია, თუმცა ამჯერად, მასთან ერთად, თავის ქალიშვილს – **დარია სვატკოვსკაიასაც** ქომაგობდა. ევროპული ფედერაციის ექსპერტად მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ბელორუსი **მარინა ლობაჩი** იყო მოვლენილი.



ტურნირში წარმატებით გამოვიდა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები, რომელშიც **გაბრიელა ხვედელიძე**, **სოფიო ფარულავა** (ორივე – გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი) და **სალომე ფაჟავა** (ნელი სალაძის სახელობის კლუბი „გრაცია“) შედიოდნენ. ხვედელიძე ცალკეული საგნებიდან რგოლით და გურზებით ვარჯიშში ჩემპიონი გახდა, ფარულავამ ბურთით ვარჯიშში ვერცხლი ირგუნა, ფაჟავა კი ბაფთით ვარჯიშში იყო მეორე.

ბოლო ხანებში ამ გუნდის პროგრესი აშკარაა – ამ სამეულმა ჯერ იტალიურ პეზაროში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გუნდური მესამე ადგილი მოიპოვა, მერე კი პენზაში იმავე რანგის შეჯიბრებაში მეორე იყო. იტალიური ტურნირის შემდეგ ადგილობრივი პრესა იმასაც წერდა, ამ გოგოებს აქამდე რატომ მალავდითო, მაგრამ ჩვენები მათ საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას სათანადო მომზადებამდე არ გეგმავდნენ. ახლა ამის დროც დადგა და გოგონებიც წარმატებით გამოდიან. ისინი ივნისში გასამართი თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და მწვრთნელები იქაც

ბოლქვაძის წარმატება

17 წლის თბილისელმა მოცურავე **ირაკლი ბოლქვაძემ** ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი მოცურავე თავისი შრომით იღებს თამაშებში გამოსვლის უფლებას – აქამდე ოლიმპიადებში „ველური ბარათებით“ ვმონაწილეობდით. სხვათა შორის, „ველური ბარათი“ ბოლქვაძესაც ჰქონდა – საერთაშორისო ტურნირებში საკმაოდ კარგი გამოსვლის გამო საერთაშორისო ფედერაციამ საკუთარი კვოტიდან ერთი საგზური მასაც გამოუყო, მაგრამ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ამ ამბავს სპორტსმენსაც უმალავდა და მწვრთნელსაც – სურდათ, ბოლქვაძეს თავისით მოეპოვებინა ლიცენზია. მისი შედეგები ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა, „ველური ბარათის“ ამბავს კი შეეძლო მის მომზადებაზე ცუდად ემოქმედა. საბოლოოდ, სეოკ-ს გუმანმა არ უმტყუნა და ბოლქვაძემ მართლაც ივაჟკაცა.

ჩვენებურმა ამ წარმატებას უნგრულ დებრეცენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მიაღწია – 200 მეტრზე ბრასით ცურვაში, მართალია, 24-ე ადგილზე გავიდა, მაგრამ სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა და საგზურიც მიიღო. ამას წინ სხვა ტურნირები უძღოდა, სადაც ბოლქვაძე ცუდად არ გამოსულა. მაგალითად, კიევის ტურნირში 200 და 400 მეტრზე ბრასით ცურვაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იგი სალიცენზიო ნორმატივს აპრილ-მაისში რამდენჯერმე მიუახლოვდა და ჩვენებურთა ოპტიმიზმიც ამას ემყარებოდა. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც ახლა იწყებს სპორტულ კარიერას, არა მხოლოდ სტაბილურობას აღწევს, პროგრესსაც განიცდის.

მოფარიკავეთა ბრინჯაო

სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გამართულ 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა **ბექა ბაზაძემ** – ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც ქართული ფარიკაობისთვის ამ რანგის შეჯიბრებათა პირველი ჯილდოა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

ბაზაძემ, ჯგუფურ ეტაპზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, პლეი ოფის პირველსავე წრეში ძლიერი მეტოქე დაამარცხა – ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის გერმანელი ჩემპიონი **მაქსიმილიან კინდლერი**. ბრძოლა მეტად დრამატული გამოდგა – ჩვენებური 13:14 აგებდა, მაგრამ სწორედ დასკვნით ორ შეტევაში შეიტანა გარდატეხა შეხვედრაში, ორივე შანსი წარმატებით გამოიყენა და 15:14 მოიგო. ამის შემდეგ მან ორი იტალიელიც გააგდო, ნახევარფინალში კი ახალგაზრდებში, ასევე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთან, ოღონდ ამჯერად უნგრელ **იშტვან სპრაზმართან** დამარცხდა, რომელმაც მერე ფინალშიც იმარჯვა და ჩემპიონიც გახდა.

მისასალმებელია, რომ ფარიკაობა ნელ-ნელა გვახარებს წარმატებებით და პერსპექტიული ახალგაზრდა თაობა მოდის. შარშანწინ ჭაბუკებში მსოფლიოს მესამე პრიზიორი კიდევ ერთი ქუთაისელი **მიხეილ მარდალეიშვილი** გახდა, ის მედალი კი საერთოდ პირველი იყო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. გვჯერა, ჩვენი ახალგაზრდული გუნდი კიდევ არაერთ წარმატებას მიაღწევს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

სიახლე!



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი გაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

„მუსიკა“ 17 ლარი

„სპორტი“ 10 ლარი



11 ლარი

10 ლარი

წიგნის თარო

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- გუსტავ ფლობერი მადამ ბოვარი
- ონორე დე ბალზაკი მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი მონტეზუმას ასული
- სტენდალი წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი გულივერის მოგზაურობა
- ერიხ მარია რემარკი სამი მეგობარი
- შოდერლო დე ლაკლო სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი კვარტერონი

ერთი ტომი – 12 ლარი



„რა არის რა“
ერთი ტომის ფასი
11 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი

რუსული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ!

რომელ კლასებში ვასწავლოთ სI – სVIII დონის სახელმძღვანელოებით

რამდენიმე რეკომენდაცია რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით

ვარიანტი 1. სკოლაში რუსული ენა ისწავლებოდა დაწყებით კლასებში და არ შეწყვეტილა:

I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	VIII კლ.	IX კლ.	X კლ.	XI კლ.	XII კლ.
×	×	**დI**	**დII**	**დIII**	**დIV**	**სII**	**სIII**	**სIV**	**სV**	**სVI**	**სVII**

ვარიანტი 2. სკოლაში რუსული ენა ისწავლებოდა I კლასიდან:

I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	VIII კლ.	IX კლ.	X კლ.	XI კლ.	XII კლ.
01	02	**დI**	**დII**	**დIII**	**დIV**	**სII** ან **სIII**	**სIII** ან **სIV**	**სIV** ან **სV**	**სV** ან **სVI**	**სVI** ან **სVII**	**სVII** ან **სVIII**
						(კლასის მომზადების დონის მიხედვით)					

ვარიანტი 3. რუსული ენის სწავლება დაიწყო დაბალ კლასებში, მაგრამ შემდეგ შეწყდა:

I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	VIII კლ.	IX კლ.	X კლ.	XI კლ.	XII კლ.
×	×	**დI**	**დII**	×	×	**სI**	**სII**	**სIII**	**სIV**	**სV**	**სVI**

ვარიანტი 4. რუსული ენის სწავლება იწყება მე-7 კლასიდან, მანამდე არ ისწავლებოდა:

I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	VIII კლ.	IX კლ.	X კლ.	XI კლ.	XII კლ.
×	×	×	×	×	×	**სI**	**სII**	**სIII**	**სIV**	**სV**	**სVI**

გამომცემლობა **„არტანუჯის“**

რუსული ენის სახელმძღვანელოების ავტორები:

მაია ლორთქიფანიძე 5 51 707 701

ირინე ჩხეიძე 5 99 373 733

თამარ ჩიმაკაძე 5 99 754 204